გამოდის ყოველ შაბათს

ფასი 30 თეთრი

# ფანტაზია

№ 43

(69) 1997 წ

6 დეკემბერი

## ?! მრავალნაწილიანი კროსვორდი



### თარაზულად

**პირველი ნაწილი, ანუ გავიხსენოთ სკოლა**

**5.** (გავიხსენოთ გეომეტრია) მართკუთხა სამკუთხედის შემადგენელი ნაწილი. **6.** (გავიხსენოთ ასტრონომია) მზის სისტემის პლანეტა. **10.** (გავიხსენოთ ბიოლოგია) თავის და ზურგის ხეროთ „პროდუქტი". **11.** (გავიხსენოთ ლიტერატურა) ვინ არის გმირი, თავისი ზრდილობით? **13.** (გავიხსენოთ ფიზიკა) ელექტროძრავის შემადგენელი ნაწილი. **15.** (გავიხსენოთ ბოტანიკა) ლამაზი ყვავილებით მდიდარი ადგილი. **16.** (გავიხსენოთ გეოგრაფია) დიდი ბრიტანეთის შემადგენელი ნაწილი. **20.** (გავიხსენოთ საზ. მეცნიერება) საერთაშორისო ორგანიზაციის სახესხვაობა.

**მეორე ნაწილი, ანუ SPORT SPORT SPORT**



**22.** (ფეხბურთი) ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელიც ჩინელთა ბე ლადს ნახევ- იმისაკენ მო უწოდებს. **23.** (ის ევ ფეხბურთი) პორტუგალიელი არგენტინელი მწვრთნელი. **24.** (კალათბურთი) შეცეი იმ ქვეყნის, სადაც პირველად ისროლეს ბურთი კალათში. **25.** (ჭიდაობა) ვინ არის მოჭიდავე ზოგადად? **29.** (ფარიკაობა) სპორტული საბრძოლო იარაღი. **30.** (მძლეოსნობა) რა მოსდევს თოფის გასროლას?

**მესამე ნაწილი, ანუ გზა**

**31.** (საბჭოეთი) საგზაო ნიშნების მომწესრიგებელი. **36.** (კრიცკი) რა არის გაფუჭებული ჩვენს გზებზე? **39.** (კინოლოგი) რა სჭირდება ავტომობილის მართვას? **40.** (რემონტი) რა სჭირდება გაფუჭებულ ავტომობილს? **41.** (სპორტი) ძველებური ცხენით გადასაზიდი საშუალება. **42.** (ქალაქი) როგორი მოძრაობაა პიკის საათებში? **43.** (ტრანსპორტი) როგორი მარშრუტი აქვს ზოგიერთ ავტობუსს თუ ტროლეიბუსს? **44.** რა ილეწება ავარიის დროს?



### შვეულად

**მეოთხე ნაწილი, ანუ „მუსიკა"**

**1.** (გერმანია) XIX საუკუნის კომპოზიტორი. **2.** (ძვ.ეგვიპტე) მუსიკის ჩასაწერი საშუალება. **3.** (იტალია) ვინ იყო ხმის თვალსაზრისით ენრიკო კარუზო **4.** (პრუსია) ძვ.ქალაქი, სადაც ყველაზე კარგი მუსიც. მუსიკოსები ცხოვრობდნენ. **7.** (საქართველო) სიმღერა, რომელსაც ცანგალა უმღერის ოპერა „დაისში".

**მეხუთე ნაწილი, ანუ „ბუნება"**

**8.** (ბოტანიკა) დედამიწის ერთი რომელიმე სახმელეთო ნაწილი. **9.** (ზოოლოგია) მთაში მოპოვებული მინა. **12.** (ფაუნა) გამრავლების ინკუბაციური სხეულ-ქსი. **14.** (ზოოლოგია) Vipera Aspis - გველი. **17.** (ბოტანიკა) პარაგვაის დედა ქალაქი. **18.** (ფსიქოლოგია) მაცდუნარ ადამიანის დემონსტრაციული ტყუილი.

**მეექვსე ნაწილი, ანუ „სხვადასხვა"**

**19.** (ფარგონი) ის, რომელიც არ არის ხილვადი, უპირატესად თბილისელი, რომც მას რამე არ იცის (...და არც უნდა, რომ იცოდეს). **21.** (ცხოვრება) ზედმეტი სიზუსტის და კორექტულის მოყვარული ადამიანი. **26.** (მითოლოგია) რომაელი ორსახოვანი ღმერთი. **27.** (ალპინიზმი) რა შეიძლება გაახსენდეს კაცს 8848 მეტრის სიმაღლეზე? **28.** (ლინგვისტიკა) ვერ გაიხსენეთ სიტყვა „დემაგოგის" სინონიმი, მერე ჩასვით მრავლობით რიცხვში... (ჩაწერეთ, რადგან ეცდით?!) **32.** (რელიგია) სამონასტრო ცხოვრებისათვის განკუთვნილი სპეციალური ნაგებობა; **33.** (ფილოსოფია) მიმდევარი დასავლეთის მისტიკური ელემენტი (ცუდი არაფერი იფიქროთ!). **34.** (ნავიგაცია) ვენეციის საქალაქო ტრანსპორტის სახეობა. **35.** (ნომინაცია) რა ჰქვიათ 1941-45 წლებში დაბადებული ბიჭების უმრავლესობას? **37.** (პოლიტიკა) ამხანაგი ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის ერთი მრავალთაგანი ეპითეტი. **38.** (ადმინისტრაცია) კარგი მუშაკისათვის განკუთვნილი ჯილდოს სახეობა.

**გმადლობთ, მშვენიერო ქალბატონო!**

ქალბატონო!
არ ვიცით თქვენი ვინაობა და ამიტომაც ვერ მოგმართავთ სახელით.
თქვენ ამასწინათ დაგვირეკეთ და ჩვენი შრომა ისე კარგად შეაფასეთ, რაც ყოველგვარ ხოტბა-დიდებას აღემატება.
გმადლობთ!
სხვა არაფერი გვეთქმის...
იმედია, კვლავაც გამოგვეხმაურებით!

# მოწევა მავნებელია!

ერთი ასეთი ანეკდოტი არსებობს:

*ვიღაც ბიზნესმენი სასტუმროს წინ დგას და სიგარას ეწევა. იქვე მოხუცმა და ღარიბმა მათემატიკოსმა ჩაიარა და ბიზნესმენს უთხრა:*

*— ეგ სიგარა რა ღირს?*

*— ერთ დოლარი.*

*— დღეში რამდენს ეწევი?*

*— ოც სიგარას!*

*— აი, თუ აღარ მოწევთ, დღეში ოც დოლარს დაზოგავთ, თვეში ეს ექვსასი დოლარია, წელიწადში — 7200, ორსამ წელიწადში კი იმდენს დააგროვებთ, რომ ასეთი სასტუმროს შესყიდვაც შეგეძლებათ.*

*— თქვენ ეწევით, ბიძია? — ჰკითხა ბიზნესმენმა.*

*— რას ამბობთ, ყმაწვილო?! — მე ცხოვრებაში არ მომიწევია.*

*— გამოდის, რომ თქვენ ახლა მთელი ქალაქის სასტუმროები უნდა გეკუთვნოდეთ?! მე კი ეს ერთიც მაკმაყოფილებს — და მიუთითა ზურგსუკან წამოჭიმულ გრანდოტელზე.*

ამ უკბილო ხუმრობით ბევრი არაფრის თქმა არ შეგვიძლია, მაგრამ დაკვირვებული თვალი მრავალ პარადოქსს აღმოაჩენს მასში, რადგან იუმორი ისეთი რამ გახლავთ, რომ ყველას თავისი დოზა და გამოვნება ვააჩნია მასთან მიმართებაში

ახლა კი ჩვენს სათქმელს მივხედოთ:

გახსოვთ, ალბათ, რომ სსრკ-ში სიგარეტის ისეთი კოლოფი არ არსებობდა, რომელზედაც სათაურში ატანილი გაფრთხილება არ ეწერა, ანუ: *სსრკ-ს ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, რომ მოწევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.* სამინისტრო გვაფრთხილებდა და, კაცმა რომ თქვას, კარგ საქმესაც აკეთებდა, მაგრამ ისევე, როგორც იმ ანეკდოტშია — *კომუნისტები გვიმალავდნენ და თურმე კომუნიზმში გვიცხოვრიაო* — ამ ჩვენთვის საინტერესო საკითხშიაც ცრუობდნენ თურმე კომუნისტები, რადგან თამბაქოს მოწევა სულაც არ ყოფილა მავნებელი ადამიანის ჯანმრთელობიისათვის.

ამ აღმოჩენამ მე კიდევ უფრო მეტად ამათვალწუნებინა ის ეპოქა, სადაც ჩემი ცხოვრების თითქმის 35 წელი გავატარე და უფრო მეტად დამარწმუნა იმაში, რომ ის ცრუ და მუხთალი სისტემა სამართლიანად დაინგრა. მართალია, ერთი ასეთი ანეკდოტიც არსებობს — *მაშინდელი სსრკ-ს სრულუფლებიანი მოქალაქე ბატონი ძუკუ ერთხელ პარტიამ აშშ-ში მოგზაურობისათვის გაიმეტა; იქიდან რომ დაბრუნდა ბატონი ძუკუ, საკუთარი შთაბეჭდილებები ასე გაუზიარა საკუთარ ცოლს: დედა, დედა, ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა: მაღაზიაში შეხვალ და ყველაფერი სულო და გულო აწყვია, მეორე მაღაზიაში შეხვალ და ნაირ-ნაირი სამოსი და ფეხსაცმელი აწყვია, კიდო იქით ათასგვარი გასართობი აწყვია, კიდო იქით... დედააა! ისეთი რამეები აწყვია, შენ თვალითაც რომ არ გინახავს, მარა, რად გინდა რა?! — სისტემა არ უვარგათ!* — მაგრამ, ასეთი ანეკდოტის არსებობის მიუხედავად, ბატონ ძუკუს ჩვენ მაინც არ ვეთანხმებოდით მაშინ და მართალნი რომ აღმოვჩნდით, ამაში აგერ ის ჩვენი დღევანდელობა გვარწმუნებს, რამაც შექმნა პირობები, რომ, იმ ძუკუ ბატონის მონაყოლის მსგავსად, ჩვენთანაც სულო და გულო ყველაფერი ეწყოს. რაც შეეხება ბატონი ძუკუს მორალურ სახეს, ამასთან დაკავშირებით ერთი ასეთი ანეკდოტიც არსებობს:

*— ძუკუ, რა უქენი შენს ძაღლს?*

*— (ჭახ! ვესროლე) მოვკალი.*

*— რეიზა, შე კაცო.*

*— იმიზა, რომე აფერისტებს უღრენდა.*

*— მერედა, შენ რას ერჩოდი?*

*— ბოლო დროს მეც დამიწყო ღრენა.*

პაწაზე კი ავცდით ჩვენს სათქმელს, მარა ეგება განწყობაც კი შეგიქმენით საიმისოდ, რომ ის მოგახსენოთ, რის თქმასაც ვაპირებთ. ჰოდა, იმას ვამბობდით, რომ თურმე ეს აფერისტი კომუნისტები იმასაც კი გვატყუებდნენ, რომ მოწევა სულაც არ არის მავნებელი. მართალი გითხრათ, ამ ტყუილის მიზეზს კარგად ვერ ვხვდებით და უბრალოდ ვფიქრობთ, რომ მათ ეს ამერიკის სიგარეტის მწარმოებელი ფირმების გასაკოტრებლად მოიგონეს, მაგრამ ახლა ეს პრობლემა სულაც აღარაა საჭირბოროტო, რადგან იმ კომუნისტებმა შესაჭმელი პირნათლად ჭამეს და ისტორიის სანაგვეზე მიიღეს ბინა. მე უბრალოდ ის ტყუილი ვერ მომინელებია, რის გამოც თითქმის 20 წელიწადი შიშით მაწევინეს და მაწევინეს ეს სიგარეტი. არადა, მოწევა სულაც არ ყოფილა მავნებელი! ამ ნაწარმს თურმე შეუძლია მოგიტანოთ სიხალისე, შთაგონება, სტიმული და შეგმატოთ დღის განმავლობაში დაკარგული ენერგიაც კი.

ეგება, არ გჯერათ ჩემი ნათქვამი?!

თქვენ, ბიძიებო, იმის არ გჯეროდათ, ამისი არ გჯერათ, აბა, ვისი და რისი გჯერათ ბოლოსდაბოლოს?! ჰოდა, ხომ გაგიგონიათ — *სატირალში რომ მივიდა ერთი კაცი და იქ ვიღაც რომ გაიძახოდა — არ მჯერა, არ მჯერაო! — და ამ ჩვენმა ნაცნობმა კაცმა რომ უთხრა — ვისაც სჯერა, ისინი გაატარეო!* — ასე გემართებათ თქვენც!

...და თუ მაინც არ გჯერათ, რომ მოწევა სასიკეთოა, თვალი ადევნეთ სარეკლამო კამპანიას და დარწმუნდებით, აჰა!



## სვეტლექსი

1
დრომ ჩვენი გადაგვარება
ერთობ უხამსად ინება:
სულ თავზე გადაგვატარა
ცხოვრების ბილწი დინება;
მორევში გზა გაიკვლიეს
მხოლოდ „ჩალიჩა ჩინებმა",
ჩვენ კი ნება გვაქვს,
ვიგინოთ,
როცა კი მოგვეწყინება.
2
დღეს ბევრი
მასწავლებლისთვის
ერთობ უქმური დარია;
ცხოვრებამ მათი „პედსაბჭო"
მართლაც რომ არივ-დარია.
ზოგი სკოლიდან წავიდა,
ვაჭრობას ხელი დარია,
ზოგი კი დარჩა სკოლაში
და... სულით დახლიდარია.
3
ჩვენთვის ლარია ფული და
პოლონელისთვის ზლოტია;
ჩვენ „მარშრუტკებს" რომ
ვეძახით,
ვენეციისთვის ფლოტია;
ისე კი, მართალს
თუ ვიტყვით,
ჩემო ჯუმბერ და ჯოტია,
ჩვენი ცხოვრება ნამდვილად
უკბილო ანეკდოტია!




იყო ორი მაიმუნი:
ერთი დიმა!.. ერთიც რიმა...
რიმა ქვემოთ იჯდა ხეზე,
დიმა ზემოთ გაიჭიმა.
ერთხელ რიმამ სითბო იგრძნო
ეამა და გაიღიმა
და თქვა: (ო, რა ყვითელი და...)
ო, რა თბილი მოდის წვიმა!
დიმამ ეს რომ გაიგონა,
საიამაყით გაიჯგიმა
და ჩასძახა: ასეთ წვიმას
აწარმოებს („ლიჩნათ") დიმა!

ილუსტრირებული
ანეკდოტი



ერთი ფრანგი ჟაკლინ-ჟუჟუ თუ ჟუჟუ-ჟაკლინი (ან რა მნიშვნელობა აქვს?!) ათმა მუსიემ, რბილად რომ ვთქვათ, გააუპატიურა. ქალი წავიდა შესაბამის სამსახურში და საჩივარი შეიტანა.

— „წაბრძანდით სახლში, მადამ ჟაკლინ-ჟუჟუ (ან პირიქით), ჩვენ ათივეს დავიჭერთ და მოგიყვანთ" — უთხრეს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა.

— ო, არა, მუსიე, არა... C'est vrie, C'est la vive! ათივე არ მინდა! — მესამე და მერვე მოიყვანეთ.

— Pardon!

P.S. *იმავე საღამოს ჟაკლინ-ჟუჟუს (თუ პირიქით?! — დასწყევლა ღმერთმა!) ერთმა დაქალმა ჰკითხა:*

*— მითხარი, ჟუჟუ,* mon ami, *როგორ დიეტას იცავ, ასეთი გამხდარი რომ ხარ?*

*— დიეტა ძალზედ უბრალოა: დილით — კექსი, საღამოს — სექსი.*

*— თუ არ მიშველა?*

*— მაშინ ცომეულს ნუ მიეკარები!*

## კომპიუტერები და ადამიანები



*„პერსონალური კომპიუტერი ყოველ ოჯახში, ყოველ სამუშაო მაგიდაზე!“ — ასე თქვა ერთხელ* ***Microsofti****-ს იმპერიის დამაარსებელმა და ამერიკის ყველაზე მდიდარმა კაცმა ბილ გეიტსმა. როგორც ჩანს, მისი მოწოდება ხორცს ისხამს ისეთ არცთუ განვითარებულ ქვეყანაშიც (სამწუხაროდ!), როგორიც საქართველოა.*

ორიოდ სიტყვა კომპიუტერული სამყაროს შესახებ: კომპიუტერის ფლობა და მართვა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია. მართალია, დღეს ეს განუხორციელებელ ოცნებად მიგვაჩნია, მაგრამ ეს სულ მალე აუცილებელ და ყოველდღიურ რეალობად იქცევა. შედარებისათვის ძველ თაობას შევახსენებთ იმ „უხერხულობებს“, რასაც ნებისმიერი ახალი ტექნიკური მიღწევის დაუფლებას სდევდა თან (ტელე-ვიდეო ტექნიკაზე მოგახსენებთ). დღეისათვის კომპიუტერები ეს არის ცივილიზაციის განვითარების გენერალური ხაზი და რაც უფრო მალე გაიგებენ ადამიანები ამას, მით უფრო მეტს მოიგებენ ისინი. რა თქმა უნდა, კომპიუტერს გარკვეული შესწავლა სჭირდება, მაგრამ ის, ვინც ამას არ გააკეთებს, ჩათვალოს, რომ ხელ-ფეხშებორკილი იქნება ცხოვრების მანძილზე.

ზოგი ფიქრობს, რომ კომპიუტერი ადამიანური ცივილიზაციის მტერია, რადგან იგი პიროვნებას ავიწყებს ისეთ მარადიულ ცნებებს, როგორიცაა თუნდაც წიგნი. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვაგვარადაა, ანუ ქაღალდისა და ელექტრონულ-ინფორმაციულ უზრუნველყოფას შორის პრაქტიკულად არანაირი განსხვავება არ არის. სხვაობა მხოლოდ ისაა, რომ სასურველი ინფორმაციის მიღება შესაძლებელი არის არა ნაბეჭდი, არამედ ეკრანული გამოსახულების საშუალებით. ამასთანავე კომპიუტერს თავისი პლიუსები აქვს, თუნდაც ის, რომ ღილაკზე დაჭერით შესაძლებელია ნებისმიერი გვერდის, აბზაცის და, გნებავთ, ასოს მოძებნაც კი; უბრალოდ უნდა იცოდეთ ამის კეთება.



ერთ მშვენიერ დღეს ყველა მიხვდება, რომ კომპიუტერით სარგებლობა ძალზედ ადვილია და იგი ბინიდან გაუსვლელად ყოველგვარი ინფორმაციის მიღების და მისი რეალიზების შესაძლებლობას იძლევა. ასე რომ სრულიად რეალურია თაროებზე განლაგებული წიგნების ნაცვლად ე.წ. ელექტრონული ბიბლიოთეკის ქონა საკუთარ სახლში.

კომპიუტერს კიდევ ერთ „დანაშაულში“ სდებენ ბრალს, რაც მის მიერ ისეთი მარადიული ცნებების განდევნაში გამოიხატება, რაც თეატრთან, ფერწერასთან თუ მუსიკასთანაა დაკავშირებული. აქ უნდა გავიხსენოთ ერთი ისტორიული და კურიოზული ფაქტი, როცა მავანნი ფოტოგრაფიის წარმატებული პროგრესის კვალდაკვალ ფერწერის სიკვდილს წინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ყველაფერმა საკუთარი ადგილი დაიმკვიდრა და ორივე გამომსახველობითი ხელოვნება საკუთარი გზით განვითარდა. სწორედ ამ კუთხით უნდა გაწეწილოთ კომპიუტერული გრაფიკის ფაქტორიც, რაც შესაძლებელია ხელოვნების დამოუკიდებელ სფეროდ აღვიქვათ. არ არის გამორიცხული, რომ რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ კომპიუტერის „სამხატვრო მონაცემებმა“ საკუთარი გზით განვითარების შემდეგ მაღალი დონის ხელოვნება შექმნას, მაგრამ ვიმეორებთ – ეს იქნება სრულიად ახალი ფაქტი ადამიანისა და სამყაროს ურთიერთდამოკიდებულების სფეროში.

კომპიუტერს, რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი მხარეებიც გააჩნია, მაგრამ არც ესაა დიდი უბედურება, რადგან ჩვეულებრივი ტელევიზორისაგან ან რომელიმე იდუმალებით მოცული კვლევითი ინსტიტუტის დანადგარებისაგან ბევრად უფრო მეტი რადიოაქტიური გამოსხივება მოდის.

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ უნდა დავასკვნათ, რომ კომპიუტერული ინტელექტი მუდამ მართვადი იქნება ადამიანის მიერ და არასოდეს მოხდება ის, რომ ეს მანქანური წარმონაქმნი ოდესმე თავის შემქმნელ ადამიანს გაუჯიუტდეს.

# კომპიუტერული სამყარო — საზღვრებს გარეშე

## ვირუსები, ვირუსები

## კომპიუტერული ვირუსები

*ერთ მშვენიერ დღეს თქვენი საყვარელი კომპიუტერი შეიძლება „დაავადდეს“; დაავადებები კი მრავალგვარია: უბრალოც, შედარებით მსუბუქიც და ძალზედ რთულიც, ანუ თითქმის ისევე, როგორც ადამიანთან მიმართებაში ხდება ხოლმე. მოგახსენებთ უმთავრეს სიმპტომს, ანუ – თუ ეკრანზე გამოსახულებამ უეცრად ხტუნვა დაიწყო, ცენტრში კი რაიმე უცნაური ნახატი, ან უჩვეულოდ უხამსი წარწერა გაჩნდა, დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი კომპიუტერი ავადაა... მას ვირუსი შეეყარა.*

კომპიუტერული ვირუსი ესაა მარჯვედ დაწერილი პატარა პროგრამა, რომელსაც შეუძლია კომპიუტერში არსებული ყველა მონაცემი მოსპოს და გაანადგუროს. როგორც წესი, ვირუსებს წერენ ე.წ. „ასემბლერის“ ენაზე, რაც საშუალებას იძლევა უჩინარი პროგრამების შექმნისა. არსებობს აზრი, რომ ვირუსებს ქმნიან მხოლოდდამხოლოდ ე.წ. „ჰაკერები“ (კომპიუტერული ყალთაბანდები), სინამდვილეში კი ასეთი პროგრამის შექმნა შეუძლია ტექნიკური ინსტიტუტის ნებისმიერ ჩამორჩენილ სტუდენტს. არაიშვიათად ეს ხალხი ვირუსების პროგრამას წერენ გართობის მიზნით და ვერ აცნობიერებენ იმას, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენონ ამით კომპიუტერულ სამყაროს. არიან, რა თქმა უნდა, პროფესიონალი „ხულიგნები“, რომლებიც „კომპიუტერულ სენს“ ავრცელებენ იმის გამო, რომ ზიანი მიაყენონ მათთვის არასასურველ ფირმებს ან კერძო პირებს.

კომპიუტერული ვირუსები, ხვდებიან რა კომპიუტერის მყარ დისკზე, ელვის უსწრაფესად მრავლდებიან, თავად ეწერებიან არსებულ ფაილებში და პრაქტიკულად მთელ მახსოვრობას მოიცავენ. ინფიცირებული ფაილის გამოძახებისას ვირუსი აქტიურდება და თავის „შავ საქმეს“ აკეთებს. ასეთ ვირუსებს „საფაილო ვირუსი“ ჰქვია. არანაკლებ საშიშია ე.წ. „ჩასატვირთი ვირუსები“. ისინი „მოგზაურობენ“ პროგრამიდან პროგრამაში და გზაზე ყველაფერს ანადგურებენ. ხსენებული ყალთაბანდები იქამდეც კი მივიდნენ, რომ ვირუსის ამ ორი სახესხვაობის სინთეზი შექმნეს და პრაქტიკულად სტიქიურ უბედურებად აქციეს ის კომპიუტერებისათვის.

არსებული მონაცემების თანახმად დღეს მსოფლიოში არსებობს 10-15 ათასამდე კომპიუტერული ვირუსი და კიდევ ათჯერ ამდენი მათი მოდიფიკაცია და ვერსია. ადრე თუ გვიან ვირუსებთან გაცნობა კომპიუტერის ნებისმიერ მომხმარებელს უხდება. ვირუსების გავრცელებას განსაკუთრებით უწყობს ხელს საპროგრამო უზრუნველყოფის ე.წ. „მეკობრული“ მეთოდი. თუმცა ისინიც, ვინც მხოლოდ ლიცენზირებულ პროგრამებს იხმარენ, მაინც ვერ ასცდებიან ვირუსებთან ურთიერთობას. ასე მაგალითად – ეს ვირუსები შეიძლება ლიცენზირებულ პროგრამებში შეიჭრნენ ელექტრონული ფოსტის ან ინტერნეტის გზით, საიდანაც ადვილი მოსალოდნელია, რომ დაავადებული გრაფიკული ან ტექსტუალური ფაილები მიიღონ.

საბედნიეროდ, კომპიუტერული ვირუსების წინააღმდეგ დიდი ხანია შექმნილია პროფილაქტიკური პროგრამები. არსებობს სპეციალური ანტივირუსული პროგრამებიც, რომლებსაც ძალუძთ არა მარტო მოიძიონ ვირუსები და გაანეიტრალონ ისინი, არამედ განკურნონ მთელი დაავადებული სისტემა. იმის გამო, რომ ახალი ვირუსები ძალზედ ხშირად იქმნება, სასურველია, რომ ანტივირუსული პროგრამები ყოველთვიურად განახლდეს. თუმცა თუ ინფორმაციული გაცვლა ძალზედ ინტენსიური და ფართომასშტაბურია, აუცილებელია კომპიუტერების ყოველკვირეული პროფილაქტიკა. თადარიგიანი და ფრთხილი მომხმარებლები კი კომპიუტერის ყოველი ჩართვა-გამორთვისას ამოწმებენ საკუთარი მანქანის ჯანმრთელობას.

## ელექტროსაფრთხე

მაქსიმუმი, რაც შეიძლება ვირუსმა დააზიანოს, ეს პროგრამული უზრუნველყოფა და თავად შენახული ინფორმაციაა. კომპიუტერს ბევრად უფრო საშიში მტერიც ჰყავს. მას შეუძლია არამარტო წაშალოს თქვენი შრომის შედეგი, არამედ მთლიანად გამოიყვანოს მწყობრიდან თქვენი მანქანა. ამ ბოროტმოქმედის სახელი ელექტროენერგიაა.



ძაბვისა და სიხშირის არასტაბილური მოწოდება ჩვენთვის უცხო მოვლენა არ არის და სწორედ ეს გახლავთ კომპიუტერის რეალური საფრთხე, რადგან ამ არასტაბილურობას შეუძლია დააზიანოს ერთი კონკრეტული ფაილი ან მთელი კომპიუტერული სტრუქტურა. ელექტროენერგიის გათიშვა დიდი უბედურება აღარ არის, ჩვენთვის მაგრამ ამ სიდუხჭირეს კომპიუტერი ვერაფრით ეგუება. ასე რომ, კომპიუტერს კიდევ კარგა ხანს მოუწევს ჩვენს გარემოსთან შეგუება.

ნათქვამია, რომ ძუნწი ორჯერ იხდის საფასურსო, ამიტომ თქვენ თუ ფულს არ გაიმეტებთ ანტივირუსული პროგრამებისა და ელექტროენერგიის სტაბილური მომწოდებლების შესაძენად, თქვენ ხვალ შეგიძლიათ დაკარგოთ ის ინფორმაცია, რაც, ალბათ, ათჯერ და ასჯერ მეტად გიღირთ.

## ყველაზე მდიდარი ინტელექტუალი

ბილ გეიტსი დღეს ალბათ ყველაზე მდიდარი ადამიანია მსოფლიოში. მისი ქონება, ჟურნალ **Forbes**-ის მონაცემებით 39,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. აი, როგორ დაგროვდა ეს ქონება: გეიტსი და მისი სკოლის ამხანაგი პოლ ალენი ბიზნესში 15 წლის ასაკში მოვიდნენ. მათ შექმნეს პროგრამა საგზაო მოძრაობის მოსაწესრიგებლად და დააარსეს კომპანია ამ პროგრამის გასავრცელებლად; ამ საქმეში ბიჭებმა 20 ათასი დოლარი იშოვეს. 1975 წელს გეიტსმა და ალენმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს ახლად შექმნილი კომპიუტერის „ალტაირი“-ს „ბეი-სიკ“-ის პროგრამით უზრუნველყოფისათვის. და ეს იყო საქმის დასაწყისი. 70-80-იანი წლების მიჯნაზე უკვე მთელი მსოფლიო სარგებლობდა მათი **Microsoft**-ის საოპერაციო სისტემებით. 1980 წელს ფირმა „**IBM**“-მა მათ საშუალება მისცა შეექმნათ **MS-DOS**-ის გარემო, რაც ქვაკუთხედი აღმოჩნდა დღეს არსებული ყველა პროგრამისათვის. პირველი მილიარდები გეიტსმა სწორედ **IBM**-თან ურთიერთობისას იშოვა. შემდგომ ორმა გენიალურმა გამომგონებელმა სხვა ფირმებთანაც დაიწყეს თანამშრომლობა, რამაც მხოლოდ ხელი შეუწყო ტექნიკურ პროგრესს და კონკურენციის არავითარი კატაკლიზმები არ გამოვლინდა.



გეიტსის ფირმაში მუშაობენ ადამიანები, რომლებსაც სწამთ, რომ უზარმაზარი საქმის განხორციელებაში მონაწილეობენ. თავად გეიტსი არ ინდობს ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც გონიერებით ან შრომისმოყვარეობით ჩამორჩებიან მას. ამ კაცს აბსოლუტური მხედველობითი მახსოვრობა აქვს; მას შეუძლია მხოლოდ თვალი გადაავლოს მთელ ნაბეჭდ გვერდს და შემდგომ პრაქტიკულად ზუსტად აღადგინოს ის. ამ უმდიდრეს ადამიანს ყველაზე სწრაფი „პორშე“ და ყველაზე სწრაფი იახტა აქვს. მისი ბინა ვაშინგტონის ტბის პირას 15 ათას კვ.მ.-ს მოიცავს, სადაც 14 ათასი წიგნია დაცული; ამ ბინაში ას კაცზე გათვლილი თეატრალური დარბაზი და კომპიუტერული ნახატების გალერეაა, მისი გარაჟი 20 მანქანისთვისაა განკუთვნილი.

გეიტსის პარტნიორები 1985 წელს ამბობდნენ, რომ მისი ფირმა **Microsoft**-ი პოსტინდუსტრიალური სამყაროს „პერპეტუმ-მობილე“ იქნება და XX საუკუნის რიკშელერად მოგვევლინება. დღეს ეს წინასწარმეტყველება ახდა.

## მოკვეთილი კროსვორდი



**თ** 12. რა სჭირდება ყოველ სატელე ვიზიო არხს? 13. სიძველეთა ერთობლიობა. 14. ნამცხვრის სახესვაობა. 16. სიტყვა „რარიტეტი“ თავისი ქართული არსით; 17. ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი. 18. დამხმარე საგნების ერთობლიობა. 21. (თუნდაც) ელექტროენერგიის მომწესრიგებელი. 22. რომის ავხორცი იმპერატორი. 24. მლიქვნელი, პირფერი, ანუ როგორი... ქალაქურად? 25. ამერიკელი კინომსახიობი ქალი. 26. სისხლისმწოველი არსება. 29. საქართველოს ისტორიული ძეგლი. 30. ცნობილი იტალიელი კინორეჟისორი. 31. ეგვიპტური მითოლოგიის მზის ღმერთი. 35. ლენინის „საყვარელი“ საზ.ელემენტი. 36. საზ.კვების (ჩვენთვის) ახალი ობიექტი; 38. საგნის ზომა-წონის დადგენილი ნიმუში. 39. ნამუსის გარდერობის ნაწილი. 41. ავტომობილის შემადგენელი ნაწილი. 43. ქალაქი ჰოლანდიაში; 44. სომხეთის რაიცენტრი. 45. რა არის მიწისძვრა თავისი არსით? 47. ამერიკელი „ნილბიანი“ კინომსახიობი.

**შ** 1. პერსონაჟი პიესისა „კავკასიური ცარცის წრე“. 2. ჩვენი ცხოვრების მერვე ელემენტი; 3. მწეველისათვის საჭირო ნივთი. 4. იშვიათი მოქმედების მანიშნებელი სიტყვა. 5. ბიჭი, რომელიც „დედას უნდა დაურჩეს“. 6. პირის ღრუს ანთებითი დაავადება. 7. რუსეთის ერთსახელიანი ორი მდინარე. 8. ზრდილობასთან დაკავშირებული ცნება. 9. კინომსახიობთა თეატრის მსახიობი მამაკაცი. 10. არამოყვრული (ანუ?) დამოკიდებულება. 11. ვერაგი და ცბიერი, ანუ? 15. კატის ერთი მოსაფერებელი სახელი. 19. საწყალოსნო ტრანსპორტი. 20. რაიმე ცნების ან საგნის აგებულება. 23. გამარჯვება ჩვენთვის (უკვე) ნაცნობ ენაზე. 27. დასავლელქართველ ქალთა პოპულარული პროფესია. 28. საზოგადოებისათვის თავდადებული პირი. 32. ლეონიდ კურავლიოვის, ჩვენი აზრით, ყველაზე კოლორიტული კინოპერსონაჟი. 33. ზეგანზე გაშენებული სამოსახლო. 34. ვინ არის ყველაზე ცნობილი თანამედროვე ქანა? 37. ადრეული სსრკ-ს დროინდელი საჯარო პრემია. 40. ბელგიის საფეხბურთო კლუბი (ბოლოში ვიხდით სიტყვათა განმეორებისათვის.. 42. ტბა ამერიკის დიდ ტბათა სისტემიდან. 46. რას ნიშნავს წინსართი „ინფრა“ ქართულად?

# ქროს–ფანტაზია



**თარაზულად:** 3. წარწერა კიხოფირზე; 5. საზღვაო და საავიაციო; 7. ვიწრო გაგებით იგივეა, რაც თვისება (ლათ.) 9. რუსი მსახიობი ქალი, მარჩელოს პარტნიორი ფილმში „მზესუმზირები"; 12. სიტყვის წარმოთქმის თავისებურება; 13. ერთი – მარჩელოს ენაზე; 16. ოჯახის შეძენილი წევრი; 17. XIX ს. ფრანგი გრაფიკოსი; 19. რა გააჩნია ყოველ ფისოს? 20. გაბრიელ სუნდუკიანის პიესა; 22. ოჯახის მემკვიდრე; 23. რა აკლია საკანცელარიო „მაშეს?" 24. რა არის ყველაფრის საწყისი? 26. (მისტერ) ბრანდო, მარჩელოს ამერიკელი კოლეგა; 27. საეკლესიო რიტუალი; 29. ევროპის ახლადწარმოქმნილი სახელმწიფო; 32. ადგილმდებარეობის მანიშნებელი სიტყვა; 33. ბალტიის ზღვის „ნახევარ"საზღვარი; 34. მარჩელოს ქვეყნელი მხატვარი, ჯორჯო... **შვეულად:** 1. რუსი რეჟისორი, რომლის ფილმშიც მიიღო მონაწილეობა ასაკოვანმა მარჩელომ; 2. მრავალმხრივი ცოდნის კაცი; 4. თანამედროვე ამერიკელი კონომსახიობი მამაკაცი; 6. მიხეილ ჭიაურელის ფილმი; 8. ქართული კინოს უმაღლესი პრემია; 10. საზოგადოების მუდამ გატანჯული „კლასი"; 11. სანახაობითი დაწესებულების მეპატრონე ევროპაში; 14. მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ტიტული; 15. რაიმე მოძღვრების თავგადაკლული მიმდევარი; 18. სტუდენტისა და ფულის შეხვედრა; 21. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 25. XIX-XX ს. ავსტრიელი მწერალი; 28. ძველბერძენი პოეტი და მუსიკოსი; 29. დროის მანიშნებელი სიტყვა; 30. სამოცდაათიანი წწ. იტალიელი ფეხბურთელი; 31. ხელოვნური წყალსატევი.



**თარაზულად:** 3. მდინარე საქართველოში; 5. (მისტერ) ლაუდრუპი, დანიელი ფეხბურთელი; 7. სივრცე აპენინებსა და ბალკანეთს შორის; 9. როგორ ცულს მოვიტანთ რა თქვა მელიამ? 12. რა სჭირდება ქათამს? 13. ყვითელი სალბავი; 15. ტერიტორიის ერთეული; 16. როგორი შემახელია ჩვენთან (სამწუხაროდ!) 18. ტბა საქართველოში; 20. ჩვენი განედების ხე; 22. პაკისტანის სახელმწიფო ენა; 24. ჩვენი საერთო სახლი; 26. მოცემული კროსვორდის გმირის მრავალი თანამემამულე რელიგიურად; 30. სხივთა სახესხვაობა; 33. საქართველოს ერთი რაიცენტრის ყოფ. სახელი; 34. პოლიტიკისაგან განზე დგომა. **შვეულად:** 1. ჩვენი კროს-გმირის სამოღვაწეო სფერო; 2. როგორი პროგრამა სჭირდება კომპიუტერის ვირუსების მოსპობას? 4. წიგნზე დართული მოკლე შეფასება; 6. ძველსკანდინავიელი, ასე ვთქვათ, აშუღი; 8. ინგლისის ისტ. მეზობელი ქვეყნის დედაქალაქი; 10. დიდი ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე; 11. ინგლისელი მწერლის, კრონინის ერთ-ერთი სახელი; 14. თამაშგარე მდგომარეობა; 17. ფილმების საცავი; 19. რა უნდა ჰქონდეს კარგი საკონცერტო დარბაზს? 21. ჭიდან წყლის ამოსაღები; 23. რუსი მხატვარი; 25. რა არის საქართველოში ბევრი (მრ.რ.)? 27. ხვიარა მცენარე; 28. არაბული სიტყვების წინსართი; 29. იტალიური წარმოების მსუბუქი მანქანა; 31. მატადორის გამამხნევებელი შეძახილი; 32. სატელეფონო ცენტრის გავრცელებული სახელი.





**თ:** 10. სა-[illegible] პორტო სითხე; 11. არაქალაქური მსოფლმხედველობა, ანუ... 13. მსახიობის მიწვევა გარკვეული დროით; 14. ფიზიკური ნაკლის მქონე პიროვნება; 15. ბერატინოს მეგობარი ძაღლი; 16. „აღმოსავლეთი" – ზღვაოსანთა ენაზე; 17. საფრანგეთის დიდი რევოლუციის მოღვაწე; 19. სამედიცინო-პროფილაქტიკური ღონისძიება, 20. XIX ს. ფრანგი კომპოზიტორი; 21. მოცემული კროსვორდის გმირის ერთ-ერთი სახელი; 22. მოპარვის ავადმყოფური სიყვარული; 27. ჩვენი კროს-გმირის ამერიკელი კოლეგა; 28. მეტობის მანიშნებელი სიტყვა; 29. ვულკანური წარმოშობის ნივთიერება; 30. მაწვნით დამზადებული რუსული სადილი; 32. პერსონაჟი რომანისა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი. **შვეულად:** 1. დიდი ფრანგი ფანტასტი; 2. ქართველი წარჩინებული პირი ძველად; 3. მიმღები დანადგარი; 4. XIX ს. ფრანგი პოეტი; 5. დროის მონაკვეთი; 6. საფრანგეთის ისტ. ოლქი; 7. პანტომიმის მსახიობი; 8. მათემატიკური თეორია; 9. როგორი რევოლუცია მოახდინა ლენინმა? 12. თეატრალური აღჭურვილობა; 18. ძვ. ფილმი ინდიელების შესახებ; 21. გადასატანი დანიშნულების ქურა; 23. დიდი ფრანგი მეზღაპრე; 24. ფანტაზიის თითქმის კოლეგა; 25. უავტორო წერილი; 26. გამუდმებული, ანუ როგორი? 31. ჩვენი კროს-გმირის ამერიკელი კოლეგა ქალი (სახელი).



**თ:** 10. დასტინ ჰოფმანის სამშობლოს აღმომჩენი კაცი; 11. საოცარი, არარეალური ხილვა; 13. მხატვრის „ავტოგრაფი" 14. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონი; 15. ფიზიკური ნაკლის მქონე პიროვნება; 16. სასულე მუსიკალური ინსტრუმენტი; 17. სკანდინავიური თქმულება; 18. პერსონაჟი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა"; 19. ლათ ამერიკის სახელმწიფოს დედაქალაქი; 21. მ[illegible]აური ცხოველის ნაშიერი; 23. მიწათმოქმედების ნაყოფიერების ასამაღლებელი ღონისძიება; 27. სიშიშვლის აღწერა; 29. პიუგოს შემოქმედების კოლორიტული ფიგურა; 30. მზესუმზირასთან დაკავშირებული აკუსტიკა; 31. წინააღმდეგობის თვისება. **შვეულად:** 1. რა სჭირდება ფულს (ზოგჯერ)? 2. ყველაზე ცნობილი იაპონელი რეჟისორი; 3. „დაისის" პერსონაჟი; 4. მეთევზის ინვენტარი; 5. სიშიშვლესთან დაკავშირებული (კიდევ ერთი) ცნება; 6. რა მოჰყვება ხოლმე (როგორც წესი) ვალს? 7. საქართველოს რაიცენტრი; 8. მოლიერის ნამდვილი გვარი; 9. სამსახიობო „ტექსტი"; 12. რევოლვერის სახესხვაობა; 20. რა სჭირდება ყოველ საქმეს? 22. „სამი" – დასტინ ჰოფმანის ენაზე; 24. აფრიკის სახელმწიფო; 25.ჰოფმანი – დე ნირო – ალ პაჩინო... 26. საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტი; 28. იგივეა, რაც ალღო.

## ქაი ფრაგმენტი

**თარაზულად:** **1.** „კორდებზე" გამოგონილი ბალეტი; **10.** მატროსოვის მიერ დადუმებული „ზურას" სასროლეთი; **11.** „ტრიკოსათვის" დამზადებული ქსოვილი; **12.** მდინარე, სადაც „ლოსი არ ბინადრობს" (რუს. კავშ.); **13.** რუსეთის ლარი; **14.** ნივთიერება, რომელიც მრეცხავის „კრახს აჩქარებს"; **15.** „ქარიული წარმოშობის" თავგანწირული იაპონელი; **17.** რომანი, სადაც დოსტოევსკი „ოტიას უხმობს"; **19.** ლატვიელების ალა; **21.** „ბანიანი სახლის პატრონი" მღედრი; **24.** ვინ მღეროდა ფიცხელ ომში? (ლადოსთან კავშირშია); **27.** საკითხი, რის გამოც ზურიკელა ქიმიის მასწავლებელმა გარეთ გამოაგდო; **28.** სისხლის ერთ-ერთი „რევიზორი" ორგანიზმში; **29.** არაბული „შტატები"; **31.** „გარი კასპაროვის იტალიელი წინაპარი" მეამბოხე; **34.** სომხების ფალიაშვილი; **35.** ქათამი ყმაწვილქალობაში; **39.** ჯოკონდას (და მონალიზას) „ბინა"; **40.** ილუზიონისტი, რომელიც „ყველაფერში ეთანხმება ქართველებს"; **41.** ევროპელი მუსიკოსი „ძველად მილს რომ ბერავდა" (რუს. კავშ.); **43.** „რადიუსით შემოხაზული" ხალხი; **44.** ჟურნალისტის „პური არსობისა"; **45.** „პატარა ირაკლის" სიტყვიერი მარაგი; **46.** სულისაგან გათავისუფლება „კუროსავას ხარმა რომ განახორციელა"; **47.** თბილისში ექვსი ციფრის შემდეგ სათქმელი სიტყვა;

**შვეულად:** **1.** მნიშვნელოვანი კურიოზი „ოყნიანი კატის" მონაწილეობით; (რუს. კავშ.); **2.** „აწ განზე გამდგარი" აშშ-ს პრეზიდენტი; **3.** „ბატისტყავიანი" ნაშიერი ხანდახან გამცხარებელი ცხოველისა; **4.** „ნიკას მიერ გუბეზე აშენებული" მოსკოვური სტადიონი (რუს. კავშ.); **5.** ფოთელი „მძინარა ფეხბურთელი", რომელსაც მერცხლობა ეწადა; **6.** „ტაბლეტურ-ვულკანური" გვარის მქონე მეგრელი; **7.** ლონდრეს მიერ დაკვალიანებული მეგრელი; **8.** ყველა დროის და ეპოქის ყველაზე უიღბლო მიჯნური; **9.** მოძებნეთ ლოგიკური პასუხი: სულიკო, ვარია, გიტარა, წერეთელი; **16.** „მესამე ნოტის დუნედ ამღები" ლაიზა; **18.** „რეტდასხმული და ტაბუდადებული" სკამი; **20.** ქალაქი, სადაც ევროპელები „რიდით ჩადიან"; **22.** რუსული ანეკდოტების ერთ-ერთი გმირი; **23.** „არცთუ ავი" ჰაერის მასა (რუს.კავშ.); **25.** საპენსიო ასაკის ყურძენი; **26.** მხატვრულიც, ტექნიკურიც, სპეციალურიც... **27.** ადგილი, სადაც მესულებს გურულები ჯვარს ასვამენ, მეორედ რომ არ შევიდეს; **28.** მთელ მსოფლიოში მცხოვრები ერის წარმომადგენელი; **30.** სარაჯიშვილის „მეზობელი"; **31.** სტერლინგის „წონის" ერთეული; **32.** გოგოლისეული ხლესტაკოვის პროფესია; **33.** „ბერად შემდგარი" ჰოლანდიელი ფეხბურთელი; **36.** ხე, რომელსაც „აინტერებს", თუ მამაჩვენი რა კაცია, **37.** შუასაუკუნეების იტალიელი „პორნო" ნოველისტი; **38.** შაჰი, რომელმაც ოცი ერთეული ფულად აქცია; **42.** ვაჟაფშაველას საყვარელი ბალახი;

ესკიმოსები კარავში სხედან და უფროსი ვაჟი ეკითხება მამას:

– რატომ დამარქვით მე „სწრაფი ირემი"?

– იმიტომ, რომ, შენ რომ დაიბადე, ჩვენს კარავთან ირემმა ჩაირბინა.

– მე რატომ დამარქვით „კაშკაშა ვარსკვლავი"?

– შენ რომ დაიბადე ცაზე ვარსკვლავი კაშკაშებდა.

ბოლოს მესამე შვილი ეკითხება:

– ჩემი სახელი რაღას ნიშნავს?

– შენ საერთოდ გაჩუმდი „გახვრეტილო რეზინა!"

# სუპერკროსვორდი

## ნაცნობი სახეები



## ჰორიზონტალურად:

**1.** საფრანგეთის გამხარებელი მონტავალ წელს; **8.** ოქროს სასადღეებით ცნობილი რუსული კახადის ჩრდილოეთით; **9.** მოცემული ტერიტორიის ზედაპირი; **11.** ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტი; **12.** წყლის ზედაპირის ნაწილი, რომელიც გარკვეულ საზღვრებშია მოქცეული; **13.** შუააზიელ მომთაბარეთა კარავი; **14.** მცდელობა ქრისტიანული რელიგიისა მთელი საქრისტიანოს გასაერთიანებლად; **15.** „სამი მუშკეტერი“-ს პერსონაჟი ქალი; **19.** იხილეთ ფოტო და გვიპასუხეთ – რა შეუცნობლობა ახასიათებს ქალის მშვენებას? **23.** მდინარე № 19 ფოტოს სამშობლოში; **25.** მიმბაძველობის სახესხვაობა; **27.** კომპოზიტორი ფოტო № 1-ის ქვეყნიდან; **30.** დიდბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; **31.** როგორი უნდა იყოს მთავრობა რათა ქვეყნის მართვის უფლება ჰქონდეს? **34.** ავტორი რომანისა „წერილები ჩემი წისქვილიდან“; **35.** ყველა ბილეთი გაყიდულია; **37.** დრამატურგი №1 და №19 ფოტოების სამშობლოდან; **38.** იგივეა, რაც თაღარიგი, წესრიგი, თუნდაც გამჭრიახობა (აღმოსავლური ლექსიკიდან); **39.** სპორტული ჯარიმის სახესხვაობა; **41.** ძველებური ევროპული სატრანსპორტო საშუალება; **42.** სპორტული სამოსის სახესხვაობა; **45.** ქართული ხალხური თამაში; **46.** კოტ-დ'ივუარის (სპილოს ძვლის ნაპირის) მთავარი საპორტო ქალაქი; **47.** სპორტლოტოს გათამაშებისათვის აუცილებელი დანადგარი; **49.** რკინა-ბეტონის ნაგებობისათვის საჭირო ინვენტარი; **50.** (კიდევ ერთი) ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატი; **52.** ყველა დროის უდიდესი მოგზაური; **53.** მეცნიერულ-ჟურნალისტური თხზულება; **57.** ვაჟას ერთი პოემის „სახათაურე“ პერსონაჟი; **58.** მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ბინადარი; **59.** იაპონელი კინომსახიობი ქალი ერთი საბჭოურ-იაპონური ფილმიდან; **60.** რა განახორციელა გერმანიამ საბჭოთა კავშირის მიმართ? **63.** საბჭოთა (რუსი) კინომსახიობი ფილმიდან „მოსკოვს ცრემლების არ სჯერა“; **64.** რა შეიძლება განახორციელოს ფორვარდმა მოწინააღმდეგის მოედანზე? **65.** დიდი სასმისი; **67.** ბრაზილიელი მწერალი; **68.** ბრაზილიელი ფეხბურთელი „ინტერი“-დან; **69.** სპარტელების ქართველი კოლეგები; **72.** დაკოდილი მამალი ცხვარი; **75.** ეკა ბერიძის საავტორო ტელეგადაცემა „აუდიენციის“ ეთერიდან; **77.** რა უნდა გაახსნდეს ყოველ ნათქვამ სიტყვას; **79.** ჩამქრალი ვულკანი ჰემინგუეის ერთი რომანიდან; **80.** იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ ფილმი მისი მონაწილეობით; **81.** თარაზული №63-ის პერსონაჟი დასახელებულ ფილმში; **83.** როგორ შეიძლება ვთარგმნოთ სიტყვა „შრამი“ ქართულად? **85.** ავტომობილების გამოსაცლელი ნაგებობა; **86.** ჩვენი საზღვარო ვიზავი ქვეყნის პრეზიდენტი; **88.** (ყოფილ) დიალექტიკურ-მატერიალიზმში მოძღვრება ცოდნის ფარდობითობის შესახებ; **89.** ყველაზე ცნობილი ძველბერძნული მოქანდაკე; **90.** ყველის სახეობა.

## ვერტიკალურად:

**1.** იხილეთ ფოტო. **2.** რა აერთიანებს ჩვენი კროსვორდის სამივე ნაცნობ სახეს? **3.** მუსიკალური ნაწარმოების შესავალი ნაწილი; **4.** მაჰრის თანაცხოვრება ერთადერთ მღვდელთან; **5.** რას უნდა ნიშნავდეს ქართულად ბერძნული „ტოპოს“? **6.** ჯოხის, მაგიდის და სფეროს ერთობლივი მოღვაწეობის შედეგი; **7.** ცოტა, ნაკლები რაოდენობის, ანუ როგორი? **8.** იტალიელი პოლიციელების იარაღი; **10.** ქართული კინოსათვის ნაცნობი ესტონელი მსახიობი; **15.** №1 და №19-ის ქვეყნელი XIX საუკუნის კლასიკოსი მწერალი; **16.** უბედურის გამამხნევებელი სიტყვა ზოგადად; **17.** გამოქვაბულების ფსკერიდან აღმართული კონუსისებრი ფიგურა; **18.** სოფელი თბილისის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით; **20.** იგივეა, რაც თილისმა; **21.** მხოლოდ ქალებთან დაკავშირებული „განმათავისუფლებელი“ ცნება; **22.** სანახაობითი ღონისძიების სარეკლამო საშუალება; **24.** უკუსვლა-დაქვეითების ლათინური სინონიმი; **26.** ცარიელი ჭურჭლის სახელი ზოგადად; **28.** კუნძულ სიცილიის „მარადიული ცეცხლი“; **29.** როგორია დაუსახლებელი ადგილი? (როგორია-მეთქი!); **32.** ერთ-ერთი პოეტური შემდარებლური ხერხი; **33.** აგებულება-შემადგენლობის მანიშნებელი სიტყვა; **36.** შტატი აშშ-ს ჩრდილოეთ ნაწილში; **38.** სომეხი ეროვნების კლასიკოსი პოეტი ქართული პოეზიისა; **39.** როგორი აზროვნება ჰქონდათ ინგლისელ კალვინისტებს XVI-XVII საუკუნეებში? **40.** ყველაზე ცნობილი რუსი მოგზაური; **43.** დახვეწილი, უზადო, ანუ როგორი? (არაქართულად!); **44.** ტექსტის აგებულების შემსწავლელი მეცნიერება; **47.** ისტორიული რეგიონი სკანდინავიის ჩრდილოეთ ნაწილში; **48.** სპორტული მრავალჭიდის სახესხვაობა; **51.** XIX საუკუნის ფრანგი პოეტი-სიმბოლისტი; **54.** იგივეა, რაც ჩემპიონატი; **55.** ავტორი იგავისა „ბაყაყი და ხარი“; **56.** ფრინველთა მეფის მემკვიდრე; **57.** ის, რაც გაწვლენისამებრ უნდა მოიხმარო; **61.** სიმღერა გამოყენიისას ძველ თბილისში; **62.** როგორი ეკლესია ბატონობს დიდ ბრიტანეთში; **65.** თანხმობის სახესხვაობა; **66.** ადგილის მანიშნებელ სიტყვათა ერთობლიობა; **70.** აშშ-ს ერთ-ერთი ცნობილი პრეზიდენტი; **71.** რა ეროვნების იყო აგატა კრისტის დეტექტიური რომანების მთავარი პერსონაჟი; **73.** მუსიკალურ გადაცემათა წამყვანი; **74.** XX საუკუნის უდიდესი ესპანელი პოეტი და დრამატურგი; **76.** არაბული სამყაროს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული; **78.** უცნობად გარდაქმნილი ბერძნული ანბანის ასო; **80.** უშუალო მაგრამ მორეული მთამომჯავალი; **82.** საქართველოს ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებელი; **84.** სადღეგრძელებელი სიტყვა ევროპულ სამყაროში; **87.** ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი სარიტუალო ხე;


XEROX

იაფად, სწრაფად, ხარისხიანად!

უფასო კარნახით!

აგრეთვე გთავაზობთ პირადი საბუთების ლამინირებას (ყოველდღე)

მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი" (ამოსასვლელი "ბავშვთა სამყაროს" მხარეს)

იყიდება იაფად „არისტონის“ ფირმის ქურქლის ახალი სარეცხი მანქანა (12 კაცზე) ფასი შეთანხმებით.

ტელეფონი: 74-48-35


## ჭაღუნა

ერთი კაცი ავარიაში მოყვა; მართალია, ძვლები გადაურჩა, მაგრამ მთელი გარეგნული მაინც დაუმახინჯდა. ოპერაციებისა და სხეულის ნაწილების გადანერგვა-გადმონერგვების შემდეგ მან სარკეში ჩაიხედა და ქირურგს ჰკითხა:

– ძალიან მადლობელი კი ვარ თქვენი, ექიმო, მაგრამ... შუბლზე რაფრად აღმოჩნდა ჩემი ჭიპი?!

– არა, ბატონო, ეს, ჭიპი კი არა, ერთგვარი, ასე ვთქვათ... ხალია... დიახ, ხალი!

ნაავადმყოფარი იხსნის საკინძეს და ისევ ეკითხება ექიმს:

– აგი, ალბათ, ბუნებრივი ჰალსტუხია, ხომ, ექიმო?!

ექიმი სანიტართან ერთად შემოვლას აწარმოებს. სანიტარს ხელში ნაჯახი უკავია, ექიმი კი მითითებებს იძლევა:



– სირბილაძეს – მარჯვენა ფეხის ამპუტაცია!

– ბრახ!

– მცურავიშვილს – მარცხენა ხელის ამპუტაცია!

– ბრახ!

– მოისწრაფიშვილს მარცხენა ფეხის ამპუტაცია!

– ბრახ!

– მარცხენასი-მეთქი!

– ბრახ!

– ფეხის-მეთქი!

– ბრახ!

– ექიმო, ოღონდ მართალი მითხარით, მაქვს, თუ არა, გადარჩენის რაიმე შანსი?

– გაქვთ! – რადგან თქვენი დაავადების მქონეთა შორის 100-დან ერთი ავადმყოფი აუცილებლად ინარჩუნებს სიცოცხლეს!

– კი ბატონო, მაინცდამაინც მე რატომ ვიქნები ის ერთი?

– თქვენამდე 99 უკვე გარდაიცვალა და იმიტომ!

ერთ ექიმს უცნაური ჩვევა ჰქონდა – იგი ყველაფერზე ამბობდა „ჩვენ“-ს და ავადმყოფსაც ასე მიმართავდა:

– მაშ, ჩვენ მუცელი და თავი გვტკივა, ხომ? ამასთან ერთად ჩვენ ვაცემინებთ კიდეც... ე.ი. რა უნდა ვქნათ ჩვენ?

– სხვა ექიმთან უნდა წავიდეთ – უპასუხა ავადმყოფმა.

– აბა, ახლა, ჩემო ავადმყოფო ბატონო, მუხლი მოხარეთ!

– საით – მარჯვნივ თუ მარცხნივ?

პარასკევ დღეს ექიმი მიდის კლინიკიდან:

– აბა, ავადმყოფო მახარაძე, ნახვამდის!

– ნახვამდის!

– ავადმყოფო შაქარაშვილო, ნახვამდის!

– ნახვამდის, ექიმო!

ექიმი გადის...

– მე დაგავიწყდით, მაგალითად?!

– თავი წამოყო ძაძამიამ.

– მშვიდობით, ძაძამია, მშვიდობით!

ექიმი შემოვლას აწარმოებს. მიდის ერთ ავადმყოფთან და პულსს უსინჯავს:

– მე ხომ აგიკრძალეთ თქვენ თოხლო კვერცხის ჭამა, თქვენ კი გიჭამიათ?!

– ექიმო, ნუთუ ეს ამბავი ჩემი პულსით შეიტყეთ?! – გაოცებას ვერ მალავს ავადმყოფი.

– რა თქმა უნდა, პულსიდან! კვერცხი ხომ გოგირდსა და ფოსფორს შეიცავს, რაც თავის მხრივ პულსის აჩქარებას იწვევს.

პალატიდან გამოსულ ექიმს აღტაცებით მიმართავს ახალგაზრდა კოლეგა:

– ეს საოცრებაა – პულსით იმის გაგება, თუ რა ჭამა ავადმყოფმა?!

– საოცარი არაფერია – მას გულისპირი კვერცხის გულში ჰქონდა ამოგანგლული.

## გასული ნომრის პასუხები

(პირველი გვერდი) თარაზულად: 12. კორკოროჯი; 13. ლარისა; 14. ბერნესი; 16. ლენინგრადი; 17. არგენტინა; 18. ჩაკ; 21. ასპარეზი; 24. დეკანატი; 25. აზნავური; 28. რეპეტიცია; 30. მძივი; 31. პარტია; 32. ვერდი; 35. კამსკი; 37. ტურა; 38. მი; 39. მილიციელი; 41. ძე; 43. ნოდარი; 44. პარკარიოლა; 47. საფრანგეთი; 48. ბასი; 49. იარუსი; 51. დონ; 52. სტისკი; 54. ლინოტიპი; 58. ვარიეტე; 59. ლალე; 60. პიესა; 67. კონცერტი; 69. იოლანტა; 71. ოპერა; 72. ვიარდო; 73. ცეკვა; 74. ალიბი; 76. ნუტრია; 78. ნაირა; 81. პავლოვი; 82. ასპირანტურა; 84. ბერწი; 87. შრომა; 88. კავარადოსი; 89. უთო; 91. ლეონკავალო; 92. ანტრესოლი; შვეულად: 1. სკალდები; 2. ფრენკი; 3. ტორნადო; 4. კოტრიკაძე; 5. კინდინოვი; 6. ალა; 7. ორერა; 8. ესპერანტო; 9. დენევი; 10. ანა; 11. ისააკ; 15. სტენდალი; 19. ოტო; 20. არლეკინო; 22. სცენა; 23. ალექსანდრე; 26. თაიმსი; 27. ედელვაისი; 29. ინტერვენტი; 33. ყრუ; 34. გიტარისტი; 36. იადონი; 40. ებრაელი; 42. უვაროვა; 45. რაიონი; 46. ფიანდაზი; 50. რეპრიზა; 53. იდეალი; 55. ბრავო; 56. სირცხვილი; 57. სტარი; 61. დიელო; 62. პარტიტურა; 63. გოგი; 64. რეი; 65. გალატეა; 66. გვერდწითელი; 68. ოლეშა; 70. ნონიაშვილი; 75. ბისმარკი; 77. აბა; 79. კვაშალი; 80. ჩირკოვი; 83. როდენი; 85. ჰობოი; 86. ისკრა; 90. ასა;

(მეორე გვერდი) თარაზულად: 7. ტოლუმბაში; 8. რქაწითელი; 10. ხეჩუა; 11. ფლორა; 12. ედინბურგი; 15. მირონი; 18. კარუზო; 19. შაველეგო; 20. კრიტიკა; 21. სიდელრი; 25. ეტიკეტი; 26. ბალეტი; 27. ფლირტი; 31. ინვესტორი; 33. ბევრი; 34. ბანძა; 35. გრუზინსკი; 36. რამიშვილი; შვეულად: 1. კოლექტივი; 2. ნუნუა; 3. თამადა; 4. ბადაგი; 5. მთხლე; 6. ალტრუიზმი; 9. საბძელი; 13. ინსტიტუტი; 14. გაბადრული; 16. ბანკეტი; 17. აგვისტო; 22. ენამჭევრი; 23. ეკლესია; 24. პატარძალი; 28. ანფასი; 29. ორშიმო; 30. ფრაზა; 32. ხასვი;

(მესამე გვერდი, ჯინა) თარაზულად: 11. ორანგუტანი; 12. პრიმიტიული; 13. სმერჩი; 14. ანაკლია; 15. ცბიერი; 16. მტლე; 17. ელინეზე; 19. არსი; 21. შუშა; 22. ბისო; 24. მაკარონი; 27. აკადემიკოსი; 29. კლინიკური; 30. მაშტოცი; 31. ფიქრი; შვეულად: 1. კრემატორიუმი; 2. ენერგეტიკა; 3. ლული; 4. სარა; 5. ჩიტა; 6. სპილო; 7. მირანდოლინა; 8. ცინცინატი; 9. პირიმზე; 10. ულტრა; 18. განჯინა; 23. ორდინატურა; 24. მამაკაცი; 25. კოკობი; 26. რისი; 28. კალვარია;

(სოფი) თარაზულად: 11. ნაძალადევი; 12. მასტროიანი; 13. კონტრიბუცია; 14. კორინთელი; 15. ურგენჩი; 17. კესო; 19. სტერკა; 20. ფრუ; 22. რენო; 23. ვიტორიო; 26. დაწვი; 28. კვანტალიანი; 29. ინგმარი; 31. პროლოგი; 33. ონიოლი; შვეულად: 1. ჰანოი; 2. პარტერი; 3. მანიფესტი; 4. პერუ; 5. ძიძია; 6. ემე; 7. ოსლო; 8. არსი; 9. თვთოკე; 10. ინგლისურენოვანი; 16. ჩარჯოუ; 18. ბაზილიო; 21. არმანი; 24. ორეო; 25. იუნონა; 27. ეაიმარი; 30. როლანი; 31. მელი;

(კლაუდია) თარაზულად: 3. ბოდვა; 5. ტერნერი; 7. ეურეკტორი; 9. სლაიდი; 10. მახე; 12. პინოქიო; 14. ფაილი; 16. ლეგო; 18. ველა; 20. ოსპი; 21. სუნიტი; 23. შერი; 24. ნომინალი; 26. კიო; 30. სტრასბური; 33. ნისკარტი; 34. ჩიყვი; 35. ტელონი; შვეულად: 1. კოპერფილდი; 2. კვინტეტი; 4. პროტეინი; 6. გრიმი; 8. ცხრა; 11. კლავესინი; 15. პლასიმეტრია; 17. ექსპედიცია; 19. მეჰელენი; 22. ალუბალი; 25. ფრონე; 27. ლირა; 28. ურია; 29. ინჩი; 31. მკა; 32. ოყა;

(სინდი) თარაზულად: 3. პუარო; 5. მარიამი; 7. კატაპულტა; 9. დური; 10. აზიური; 12. თაითა; 13. გეორგია; 15. ფრთა; 16. დრო; 20. მეხიკო; 21. ვეზე; 23. სტანდარტი; 24. ნეტო; 26. სანტომეტრი; 31. აუტი; 32. სტოპ; 33. ნარინჯი; 34. ფილატოვი; შვეულად: 1. ფენიკულიორი; 2. დრამატურგი; 4. მახარაძე; 6. ვალუა; 8. ტური; 11. ბალატონი; 14. არქიტექტორი; 17. რეზიტატივი; 18. კელერმანი; 19. ოანდასტა; 22. კუსტაპი; 25. ლახტი; 27. იენა; 28. სოია; 29. ნეფე; 30. ოელი.

(Кросс – фантазия) 1. Леверкузен. 2. Левитан. 3. Яго. 4. Скирда. 5. Формат. 6. Пакт. 7. Гравюра. 8. Фразеология. 9. Левенгук. 10. Ода. 11. Рурк. 12. Ленин. 13. Примитивизм. 14. Коперник. 15. Оклахома. 16. Топорков. 17. Полтава. 18. Узы. 19. Персеполь. 20. Сациви. 21. Пропаганда. 22. Сом. 23. Метерлинк. 24. Интернационал. 25. Гид. 26. Азнаури. 27. Бизе. 28. Именье. 29. Кавтарадзе. 30. Озеро. 31. Петлюра. 32. Река. 33. Махарадзе. 34. Арфа. 35. Эра. 36. Бинэ. 37. Парад. 38. Фурор.

(მეოთხე გვერდი) თარაზულად: 1. ხეიმაბათი; 6. ფსალმუნი; 10. იაპონი; 14. ექიტა; 16. ალი; 17. ჟენიონი; 20. ერუესხი; 22. უმა; 23. რანდა; 24. ერალი; 25. ქმისი; 29. პოსეიდონი; 30. ტომ; 32. ლაერტი; 33. აერიორა; 34. ზაირი; 36. ირლანდია; 38. კაზ; 39. პრავდინკი; 42. აი; 43. იანკი; 45. გრუზინსკი; 49. რიადი; 51. ფია; 52. ვით; 53. იტლანდია; 54. მულამ; 56. აბადი; 58. ანჩხლი; 60. ვასკა; 63. მარაო; 64. ტი; 65. ოსტრასი; 66. ილ; 67. ივ; 68. პი; 69. ვნება; 71. ამ; 72. კინწისკვრით; 75. კოწია; 76. ლელომ; 79. ალი; 80. უბა; 82. პარტიზანი; 83. ცენტი; 84. ფრანკი; 85. ის; 86. რა; 87. ეზრა; 90. სოპრანო; 92. დისერტაცია; 95. ქანჩი; 96. დიდგორი; 97. კლინიკა; 100. ლიდერი; 102. ტაი; 103. დათა; 104. ციბონი; 105. ეს; 107. ინა; 108. სოჭი; 110. ირაო; 111. ლევ; 112. იგი; 113. არენა; 115. ყავა; 117. ჭორიმე; 118. ემა; 122. ამირანი; 125. მსტოვარი; 131. ობი; 132. აზიატი; 134. ბალერინა; 138. უსენი; 139. რეა; 140. ღიმილი; 142. მარი; 144. ტროა; 145. ამარტი; 146. რურკი; 149. ცაბუნია; 151. რენა; 153. აბაი; 154. ბაძაღუა; 155. ჩონი; 156. ადრე; 157. დო; 159. ტედ; 160. მენ; 161. ილარიონის; 164. უხ; 167. ნემსი; 169. ქა; 170. მარისუანა; 173. რია; 174. ელისე; 175. რაც; 176. არიცა; 177. ნორდი; 178. თინეიჯერი; 179. აომანი; 180. აბორიგენი; 181. ია; შვეულად: 1. ხე; 2. შანდორ; 3. ადიე; 4. თეპრემა; 5. ინ; 6. ფარი; 7. ალეგორია; 8. ეროვლი; 9. ინდიელი; 11. პა; 12. ულე; 13. სიმილაკი; 15. ტულუზა; 17. ჟაირზინიო; 18. ენდო; 19. იანა; 21. უიტნი; 23. რევაზ; 26. მარაბუ; 27. სრა; 28. აიდა; 29. პო; 30. ტინიანოვი; 31. მიკლუხო; 35. ადრიატიკა; 37. ინურა; 39. პიკ; 40. ვინ; 41. იი; 44. იავა; 45. გვამი; 46. რიბა; 47. სი; 48. კუ; 50. ჯავა; 54. მისისიპი; 55. მახვილი; 57. დალაი; 59. ლიპი; 61. სინთეზი; 62. კობზონი; 70. ბოლერო; 71. მამითადი; 73. ნება; 74. ვარაზი; 75. კაც; 77. ლა; 78. მისტიციზმი; 80. ურმა; 81. ანცი; 88. აქ; 89. ანატომია; 90. საკლესი; 91. ოდა; 92. დოლი; 93. ირიბი; 94. სილონია; 98. ლასო; 99. ნაბოლი; 101. ენა; 104. ცია; 106. შრამი; 109. ჭაჭა; 114. ერა; 115. ყამირი; 116. ვერა; 119. ანიკო; 120. კორაიძა; 121. ბრა; 122. აბონი; 123. იარ; 124. ტიმეტი; 125. მაძღარი; 126. სლაი; 127. ტელმანი; 128. ვისლა; 129. ან; 130. იმპერატრიცა; 131. ოდერი; 133. ტერ; 135. ასაკი; 136. სარა; 137. ალიტერაცია; 141. ირიდა; 143. გუარნერი; 147. ებე; 148. მანე; 149. ცაიშა; 150. ბუა; 152. უნამუნო; 154. ბუხარი; 155. ჩინეთი; 157. დუმა; 158. ოხარა; 160. მანიტ; 162. ონისე; 163. ჯიბია; 165. კანი; 166. თრია; 169. პაერი; 171. რი; 172. ხაი; 175. რე;


ი/ს „ფანტაზია“

რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ

№7/1-1811 (15.07.1996)

ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები

74-64-80